



შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

დევექსპერტს საქართველო

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.....	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. მომზადების საფუძვლები	6
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
ფინანსური აქტივები	7
ფინანსური ვალდებულებები	7
ძირითადი საშუალებები.....	8
აქტივების გაუფასურება	8
იჯარა	9
ამონაგების აღიარება	9
ხარჯების აღიარება	9
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	9
მოგების გადასახადი.....	10
4. ძირითადი დაშვებები დაგანუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები ..	11
ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა.....	11
უიმედო ვალების რეზერვი	11
ცვლილებები საგადასახადო კოდექსში	12
5. ფულადი სახსრები და ექვივალენტები.....	12
6. სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული ავანსები	12
7. ძირითადი საშუალებები	13
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	13
10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	6,585	83,973	29,388
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	2,802,478	1,187,179	1,910,175
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6	221,856	134,687	166,437
სხვა მარაგები		18,847	17,380	9,537
სულ მოვლევადიანი აქტივები		3,049,766 ლ	1,423,219 ლ	2,115,537 ლ
სხვა არამატერიალური აქტივები		8,906	4,211	5,434
ძირითადი საშუალებები	7	1,330,432	1,399,502	1,588,652
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,339,338 ლ	1,403,713 ლ	1,594,086 ლ
სულ აქტივები		4,389,104 ლ	2,826,932 ლ	3,709,623 ლ
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	8	30,246	37,075	24,097
საგადასახადო ვალდებულებები		8,745		125,321
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			1,740	
სულ მოვლევადიანი ვალდებულებები		38,991 ლ	38,815 ლ	149,418 ლ
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9			1,351,000
სხვა ვალდებულებები				11,109
სულ ვალდებულებები		38,991 ლ	38,815 ლ	1,511,527 ლ
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი		510	510	510
საემისიო შემოსავალი				-
გამოსყიდული საკუთარი აქციები				-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		4,349,603	2,787,607	2,197,586
გადაფასების რეზერვი				-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				-
სულ საკუთარი კაპიტალი		4,350,113 ლ	2,788,117 ლ	2,198,096 ლ
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,389,104 ლ	2,826,932 ლ	3,709,623 ლ
დირექტორი:			დენის ნორკინ	
მთავარი ბუღალტერი:			დავით ურუშაძე	




**მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით
დასრულებული წლისთვის**

ამონაგები	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მომსახურების გაწევიდან	17,849,503	13,331,704	6,500,091
სხვა			6,322
საერთო მოგება	17,849,503 ლ	13,331,704 ლ	6,506,413 ლ
დასაქმებულთა ანაზღაურება	(14,490,268)	(11,016,024)	(3,736,459)
ცვტა / ამორტიზაციის ხარჯი	(321,760)	(288,914)	(51,585)
საპროცენტო შემოსავალი			29
საპროცენტო ხარჯი		(8,762)	(11,337)
იჯარის ხარჯი	(646,303)	(616,262)	(105,599)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(776,070)	(738,183)	(362,832)
სულ საოპერაციო ხარჯები	- 16,234,401 ლ	- 12,668,145 ლ	- 4,267,783 ლ
საოპერაციო მოგება	1,615,102 ლ	663,559 ლ	2,238,630 ლ
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	(53,106)	(66,384)	(40,669)
მიღებული დივიდენდები			-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(7,154)	(375)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1,561,996 ლ	590,021 ლ	2,197,586 ლ
მოგების გადასახადის ხარჯი			-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1,561,996 ლ	590,021 ლ	2,197,586 ლ
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და შეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)			-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	- ლ	- ლ	- ლ
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1,561,996 ლ	590,021 ლ	2,197,586 ლ
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,788,117	2,198,096	-
კაპიტალის გაზრდა			510 ლ
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			-
კაპიტალის სხვა ცვლილებები			-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,350,113 ლ	2,788,117 ლ	2,198,096 ლ
დირექტორი:			
მთავარი ბუღალტერი:			
		დენის ნორკინ	
		დავით ურუშაძე	

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	179,997	1,504,126	323,548
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(257,252)	(95,659)	(1,645,670)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(1,319,800)	1,423,631
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	- 77,255 ლ	88,667 ლ	101,509 ლ
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(133)	(34,082)	(72,121)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	83,973 ლ	29,388 ლ	- ლ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6,585 ლ	83,973 ლ	29,388 ლ
დირექტორი:			
მთავარი ბუღალტერი:			
		დენის ნორკინ	
		დავით ურუშაძე	

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31/12/2023	510	2,787,607	2,788,117
საწესდებო კაპიტალის ზრდა			-
საწესდებო კაპიტალის შემცირება			-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		1,561,996	1,561,996
გამოცხადებული დივიდენდი			-
31/12/2024	510	4,349,603	4,350,113
დირექტორი:			
მთავარი ბუღალტერი:			
		დენის ნორკინ	
		დავით ურუშაძე	

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დევექსპერტს საქართველო (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2022 წლის 10 მარტს. კომპანიის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პროგრამული პროდუქტების შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდება.

შპს დევექსპერტს საქართველოს 2023 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობის N204 დადგენილებით მინიჭებული აქვს „საერთაშორისო კომპანიის“ სტატუსი, რომელიც კომპანიას საშუალებას აძლევს მიიღოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები, კერძოდ:

- კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი იბეგრება 5%-ით ნაცვლად 20%-სა
- მოგების გადასახადი განისაზღვრება 5%-ით ნაცვლად 15%-სა.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია **DEVEXPERTS LLC**, რომელიც რეგისტრირებულია: First Names House, Victoria Road, IM2 4DF, ქ. დუგლასი, კუნძული მენი, სარეგისტრაციო ნომერი **000686L**.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 37მ, აქსის თაურსი, მე-16 სართული, ოფისი #49.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო კომპანიათა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი კომპანიის პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია სრულ ლარამდე.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 26 სექტემბერს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს. ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. კომპანია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, კომპანია აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. კომპანია გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

- (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;
- (ბ) კომპანია ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან
- (გ) კომპანია, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერული ტექნიკა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა ძირითადი საშუალებები	3
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	15% (წლიური)

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად

ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში. როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიის იჯარით აღებულ ქონებაზე გადასახდელები აღიარებულია ხარჯებად შესაბამისი წლის მოგება-ზარალში, ვინაიდან, კომპანიის საიჯარო კონტრაქტით განსაზღვრული პირობები არ ემთხვევა ფასს 16-ით განსაზღვრულ კრიტერიუმებს და არ საჭიროებს იჯარის კაპიტალიზაციას.

ამონაგების აღიარება

კომპანიის შემოსავალს შეადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და პროგრამული პროდუქტების შექმნასა და განვითარებასთან დაკავშირებული სერვისების მიწოდებიდან მიღებული შემოსავალი.

ყველა შემოსავლის აღიარება ხორციელდება დარიცხვის მეთოდით, იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოღინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის პირობების გათვალისწინებით და გადასახადების გამოკლებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

კომპანიას მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას წლის ბოლოს 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოყენებული გაცვლითი კურსებია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
USD	2.8068	2.6894	2.7020
EUR	2.9306	2.9753	2.8844

მოგების გადასახადი

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც 2017 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა. მოგების გადასახადის შესახებ ცვლილება ითვალისწინებს მოგების გადასახადით დაბეგვრას მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კვლავ 15%-ს. მოგების გადასახადით იბეგრება არა წლიური შედეგები, არამედ ყოველთვიური შედეგი განაწილებისას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი აგრეთვე მორალური მოძველება და საკანონმდებლო შეზღუდვები. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

უიმედო ვალების რეზერვი

სავაჭრო დებიტორული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული კლიენტებისგან თანხების ამოღება. ამ რეზერვის შეფასებისას ხელმძღვანელობა ეფუძნება მოთხოვნების ნაშთების ვადას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის სანდოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის ან კონკრეტული კლიენტის პირობების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული რეზერვის კორექტირება.

ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

საქართველოში მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

5. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.

(თანხები მოცემულია ლარში)	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	6,585	83,973	29,199
ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა			189
სულ	6,585	83,973	29,388

6. სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული ავანსები

საანგარიშო პერიოდში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ადგილი არ ექონია

(თანხები მოცემულია ლარში)	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან – ნეტო	2,790,813	1,166,379	1,887,541
სხვა სავაჭრო მოთხოვნები			4,327
მოთხოვნა კომპანიას პერსონალის მიმართ	15,788	1,298	18,307
საგადასახადო აქტივი	11,665	19,502	
გადახდილი ავანსები	206,068	134,687	166,437
სულ	3,024,334	1,321,866	2,076,612

7. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
თვითღირებულება			
კომპიუტერული ტექნიკა	745,927	501,105	427,382
ოფისის ინვენტარი	195,328	189,286	178,877
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	1,045,108	1,045,109	1,033,977
სულ	1,986,363	1,735,500	1,640,236
დაგროვილი ცვათა			
კომპიუტერული ტექნიკა	231,931	107,847	17,483
ოფისის ინვენტარი	85,003	45,920	8,280
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	338,997	182,231	25,822
სულ	655,932	335,998	51,585

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(თანხები მოცემულია ლარში)	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
სავაჭრო ვალდებულებები	30,246	37,075	24,097
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1,740	
საშემოსავლო და სოციალური გადასახადი	8,745		125,321
სულ	38,991	38,815	149,418

9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელია Devexperts LLC, მენის კუნძულების რეზიდენტი.

კომპანიის ჯგუფში შემავალ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები:

(თანხები მოცემულია ლარში)	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
მომსახურების გაწევა (ამონაგები)	17,849,503	13,331,704	6,495,243
Devexperts Sofia Ltd (ბულგარეთი - 205145230)		7,442,088	5,789,192
Devexperts LLC (მენის კუნძული - 000686L)		1,701,752	706,051
Devexperts Inc (აშშ - 4722932)	12,132,682	3,846,526	
dxFeed Solutions IE Limited (ირლანდია - 720582)	1,781,230		
Devexperts Solutions IE Limited (ირლანდია - 720583)	3,935,591	341,338	

დაუფარავი ნაშთი (დებიტორული დავალიანება)	2,790,813	1,166,379	1,887,541
Devexperts Sofia Ltd (ბულგარეთი - 205145230)			1,183,130
Devexperts LLC (მენის კუნძული - 000686L)			704,411
Devexperts Inc (აშშ - 4722932)	864,031.00	969,058.00	
dxFeed Solutions IE Limited (ირლანდია - 720582)	156,670.00		
Devexperts Solutions IE Limited (ირლანდია - 720583)	1,770,112.00	197,321.00	

უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.

2024 წელს მოთხოვნასთან დაკავშირებით უიმედო ან საეჭვო ვალების ხარჯები არ აღიარებულა.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.